შპს - „ს. გ. კ. 2006“

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი

10 მაისი, 2013 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სახელოვნებო სწავლების, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლების და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და შპს - „ს. გ. კ. 2006“ თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით და სასწავლო საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- ერთობლივი კულტურულ-შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- შპს - „ს. გ. კ. 2006“-ის სპეციალისტთა მიერ რეკომენდაციების, კონსულტაციების, სასწავლო პრაქტიკისა და შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- დიზაინის სპეციალობების სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას, წარმოების პრაქტიკული საფუძვლების გაცნობასა და დაუფლებას;

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას სახელოვნებო განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.
1.2. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს.
1.3. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-ში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) საგანმანათლებლო პროგრამების სახელოვნებო პროფესიულ მოთხოვნებთან ადაპტაციის, დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
1.4. შპს - „ს. გ. კ. 2006“ საკუთარი კომპეტენციის ფაგლებში უზრუნველყოფს:
- მინის დეკორატიული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის შპს - „ს. გ. კ. 2006“-ში ჩატარებას და პრაქტიკისათვის აუცილებელი პირობების შექმნას;
- ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის შპს - „ს. გ. კ. 2006“-ის მატრიალ-ურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებას სასწავლო-სააუდიტორიო სამუშაოებისათვის.

მუხლი

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალის-წინებული ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

შპს - „ს. გ. კ. 2006“-ის დირექტორი ვ. გრძელიძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია